დამტკიცებულია

სკოლის დირექტორის 2017 წლის №30/4 ბრძანებით
ნ.ლეკვეიშვილი-მარგალიტაძე
/_____/

შპს ,,ნ & ნ 2000“-ის კერძო სკოლა ,,მილენიუმის“ მშობელთა (კანონიერ წარმომადგენელთა) სათათბიროს დებულება

2017

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1. შპს ,,ნ & ნ 2000“-ის კერძო სკოლა ,,მილენიუმის“ მშობელთა (კანონიერ წარმომადგენელთა) სათათბირო (შემდგომში „სათათბირო“) არის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც აერთიანებს სკოლის მოსწავლეთა მშობლებს(კანონიერ წარმომადგენლებს) კლასების მიხედვით. 2. სათათბირო თავის საქმიანობას წარმართავს სკოლის წესდების, მისიის, შინაგანაწესისა და ამ დებულების შესაბამისად.

3. მოქმედების არეალია შპს ,,ნ & ნ 2000“ -ის კერძო სკოლა ,,მილენიუმი“.

მუხლი 2. სათათბიროს დებულება

1. სათათბიროს დებულებას შეიმუშავებს სკოლის ადმინისტრაცია სკოლის მოსწავლეთა მშობლების (კანონიერი წარმომადგენლების) მონაწილეობით, რომელსაც ამტკიცებს სკოლის დირექტორი.

2. აღნიშნული დებულება ძალაში შედის დამტკიცებისთანავე.

მუხლი 3. სათათბიროს მიზნები და ამოცანები

1. მშობელთა სათათბირო:

ა) ზრუნავს სკოლასა და ოჯახს შორის პარტნიორული ურთიერთობის ჩამოყალიბებასა და თანამშრომლობაზე;

ბ) ზრუნავს ინფორმაციის გავრცელებაზე;

გ) იძლევა რჩევებსა და რეკომენდაციებს სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით; 2. მშობელთა სათათბიროს შექმნის მიზნები და ამოცანებია:

ა) მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესების შესაბამისი მოთხოვნების უზრუნველყოფა; ბ) ერთობლივი პროექტებისა და ინიციატივების განხორციელება;

გ) მშობელთა წარმომადგენლის ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და მონაწილეობითი მართვის პრინციპების დანერგვა, დემოკრატიზაცია;

დ) სკოლის მიერ განსახორცელებელ აქტივობებთან და განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებთან დაკავშირებით რეკომენდაციების მიწოდება.

მუხლი 4. სათათბირო

მშობელთა სათათბიროს ფუნქციებია:

ა) განიხილავს სათათბიროს დებულებას;

ბ) განიხილავს და ამტკიცებს სამოქმედო გეგმას;

გ) ორგანიზებას უწევს ღონისძიებებსა და საქველმოქმედო აქციებს;

დ) უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში მშობლების აქტიურ ჩართულობას; ე) ირჩევს სათათბირო ორგანოს თავმჯდომარეს.

მუხლი 5. სათათბიროს წევრობა

1. სათათბირო აერთიანებს სკოლის მოსწავლეთა მშობლებს(კანონიერ წარმომადგენლებს) კლასების მიხედვით.

2. სათათბირო შედგება ყოველი კლასიდან ერთი წარმომადგენლისგან, რომლებიც მონაწილეობენ სხდომებზე თანაბარი სათათბირო ხმის უფლებით.

3. სათათბიროს წევრს უფლება აქვს:

ა) ინიციატივით შევიდეს სხდომაზე და განხილვაზე დააყენოს მისთვის საინტერესო საკითხი; ბ) გამოთქვას მოსაზრება განსახილველ საკითხზე;

გ) მიიღოს კენჭისყრაში მონაწილეობა.

4. სათათბიროს წევრი ვალდებულია:

ა) დაესწროს სათათბიროს სხდომებს(თუ არ არსებობს გაცდენის ობიექტური მიზეზი); ბ) იზრუნოს სათათბიროს ეფექტურად ფუნქციონირებისთვის;

გ) იზრუნოს სკოლის თანამშრომელთა საინფორმაციო უზრუნველყოფაზე სათათბიროს სხდომებზე განხილულ საკითხებთან დაკავშირებით.

მუხლი 6. სათათბიროს თავმჯდომარე

1. თავმჯდომარე სასწავლო წლის დასაწყისში, ღია კენჭისყრით, სათათბიროს წევრთაგან აირჩევა სათათბიროს სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

2. თავმჯდომარე:

ა) უზრუნველყოფს სათათბიროს სხდომების ორგანიზებას;

ბ) უძღვება სათათბიროს სხდომებს და ხელმოწერით ამტკიცებს სხდომის ოქმებს; გ) წლის ბოლოს

ამზადებს ანგარიშს სათათბიროს მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ; დ) სათათბიროს მიმდინარე საქმიანობის შესახებ ინფორმაციას აწვდის ნებისმიერ დაინტერესებულ პირს;
ე) წარუდგენს წინადადებებსა და რეკომენდაციებს სკოლის დირექციას.

მუხლი 7. სათათბიროს სხდომა

1. სათათბირო სხდომა ტარდება სემესტრში ერთხელ მაინც.

2. თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარის უფლებამოსილებას ახორციელებს სათათბირო ორგანოს უხუცესი წევრი.

3. სკოლის ადმინისტრაციის ან სათათბიროს წევრების 1/3 -ის მოთხოვნით ტარდება რიგგარეშე სათათბირო სხდომა.

4. სათათბიროს რიგგარეშე სხდომის შესახებ წევრები გაფრთხილებული უნდა იყვნენ სამი სამუშაო დღით ადრე მაინც, განსახილველი საკითხების მითითებით.

5. სათათბირო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თუ:

ა) სათათბიროს სხდომას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი; ბ) სათათბიროს სხდომა გადაწყვეტილებას იღებს დამსწრეთა ხმების უმრავლესობით; გ) ხმების თანაბარი რაოდენობით გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

მუხლი 8. დასკვნითი დებულება

1. ყველა შეთანხმება თუ პირობა, რომელიც შეეხება წინამდებარე დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანას, ძალაშია იმ შემთხვევაში თუ იგი შესრულებულია წერილობითი ფორმით და შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან; 2. სათათბროს დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება სათათბიროსთან შეთანხმებით, რომელსაც ამტკიცებს სკოლის დირექტორი.